



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი



2020



კონკურსები

1. დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების კონკურსი. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე კინოცენტრი დააფინანსებს 12 პროექტს:

1. „რაც ღმერთს სწამდა“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „მიდი ფილმი“, რეჟისორი – მარინე გულბიანი, სცენარის ავტორი – მარინე გულბიანი) – 15 000 ლარი;
2. „ქალაქის ხმაური“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „თეიქს ფილმ“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე, სცენარის ავტორი – პაპუნა მოსიძე, ალექსანდენავერიანი) – 15 000 ლარი;
3. „დაბადება“ – (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, რეჟისორი – სანდრო ნავერიანი, სცენარის ავტორი – სანდრო ნავერიანი) – 15 000 ლარი;
4. „საჩუქარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბენეფაქტორი“, რეჟისორი – , ზაზა მერაბიშვილი – სცენარის ავტორი – ზაზა მერაბიშვილი) – 15 000 ლარი;
5. „ვაშლი და ისარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – ალექსანდრე ცაბაძე – სცენარის ავტორი – არჩილ ქიქოძე, ალექსანდრე ცაბაძე) – 15 000 ლარი;
6. „ნენე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – მარიამ ხაჭვანი, სცენარის ავტორი – მარიამ ხაჭვანი) – 15 000 ლარი;
7. „კაი ბიჭები“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე) – 15 000 ლარი;
8. „ცრემლსადენი გაზი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი – უტა ბერია, სცენარის ავტორი – უტა ბერია) – 15 000 ლარი;
9. „ის“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „New wave“, რეჟისორი – გაბრიელ რაზმაძე – სცენარის ავტორი – ლევან ცერცვაძე) – 15 000 ლარი;
10. „ორ კედელს შორის“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ანიდუდა“, რეჟისორი – შალვა შენგელი – სცენარის ავტორი – შალვა შენგელი, ალექსანდრე ქურხული) – 15 000 ლარი;
11. „თავადის ქალი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შოს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – მარგო ზუბაშვილი – სცენარის ავტორი – მარგო ზუბაშვილი) – 15 000 ლარი;

12. „მოხუცი და სხვა“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ფიური ფილმგორქს“, რეჟისორი – ნოდარ მარშანიშვილი, სცენარის ავტორი – ნოდარ მარშანიშვილი, ლევან ცერცვაძე) – 15 000 ლარი.

2. დასრულდა დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსის საექსპერტო კომისიის სხდომები. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს კინოცენტრს დააფინანსოს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი 13 პროექტი:

1. „წმინდა მარიამი სამოგზაუროდ მიდის“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმსი“, რეჟისორი – მარიამ ნატროშვილი, სცენარის ავტორი – მარიამ ნატროშვილი) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
2. „შავ ფერს მიღმა“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „კავკასიური ფილმოდრომი“, რეჟისორი – თამარ ქარუმიძე, სცენარის ავტორი – თამარ ქარუმიძე) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
3. „ეპიზოდები მხატვრის ცხოვრებიდან“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „Film Asylum“, რეჟისორი – ლევან შუბაშვილი, სცენარის ავტორი – არჩილ შუბაშვილი) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
4. „ქალაქის ეკრანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „აქტმედია“, რეჟისორი – თამარ მშვენიერაძე, სცენარის ავტორი – თამარ მშვენიერაძე) – 13 150 (ცამეტი ათას ასორმოცდაათი) ლარი;
5. „მჩხიბავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი – ანა კვიჭიძე, სცენარის ავტორი – ანა კვიჭიძე) – 14 244 (თოთხმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი;
6. „ბიჭის მოლოდინში“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სვანეთის კინო სტუდია“, რეჟისორი – მარიამ ხაჭვანი, სცენარის ავტორი – მარიამ ხაჭვანი) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
7. „გაკოტრება“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში – სცენარის ავტორი – სალომე ჯაში) 14 948 (თოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდარვა) ლარი;
8. „ლელა“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „ახალგაზრდა ხელოვანთა საერთაშორისო გაერთიანება“, რეჟისორი – , დავით ჭიკაძე – სცენარის ავტორი – ირინე გელაშვილი) – 14 944 (თოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი;
9. „რუსთაველის ქვეყანა“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – ზურაბ ინაშვილი, სცენარის ავტორი – ზურაბ ინაშვილი) – 11750 (თერთმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი;
10. „ქალები“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ნიუდოკფილმი“, რეჟისორი – , თათია ახალშენიშვილი – სცენარის ავტორი – ანა ბურდული) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
11. „ვიდინოთ“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი – სოფიო მედოიძე – სცენარის ავტორი – სოფიო მედოიძე) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
12. „არავინ იცის ხვალ რა მოხდება“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – , ვაჟა ზუბაშვილი – სცენარის ავტორი – ვაჟა ზუბაშვილი) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
13. „უოლდენი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;

“წერე ქართულ კინოზე”

დასრულდა ეროვნული კინოცენტრის კონკურსი „წერე ქართულ კინოზე“, რომლის მიზანია კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის განვითარების ხელშეწყობა.

კონკურსის დასკვნით ეტაპზე გადავიდა 11 კონკურსანტი, საბოლოოდ კი მათ შორის შეირჩა 3 გამარჯვებული:

- პირველი ადგილი: აკაკი ჭაბაშვილი
- მეორე ადგილი: გიორგი მიქაბაძე
- მესამე ადგილი: ეთერ ფარჩუკიძე

გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი ჯილდოები:

1. პირველი პრიზი – გამარჯვებული დაესწრება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს. კინოცენტრი დააფინანსებს ფესტივალზე დასწრებას 5 დღის მანძილზე, მათ შორის აკრედიტაციას, მგზავრობას, დღიურ და სასტუმრო ხარჯებს. თუ ფესტივალის პანდემიის მიზეზით გადაინაცვლებს ონლაინ-სივრცეში, სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ამ ფორმატში ფესტივალზე დასწრებისთვის საჭირო აკრედიტაციითა და ჯილდოს სახით მიიღებს 3 000 ლარს.
2. მეორე პრიზი – პრიზის მფლობელი დაფინანსდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი წლის საფასურით ან სტიპენდიის სახით მიიღებს ამ თანხას (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).
3. მესამე პრიზი – პრიზის მფლობელი დაფინანსდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი სემესტრის საფასურით ან სტიპენდიის სახით მიიღებს ამ თანხას (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).

ფილმნარმოება

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, რეჟისორი - აკაკი შანშიაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი - შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - თინათინ ყაჭრიშვილი);
- ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“ (პროდიუსერი - შპს „20 steps productions“, რეჟისორი - ცოტნე რუსიშვილი);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი - შპს „ნატურა ფილმი“, რეჟისორი - ბესო (გივი) ოდიშრია;
- დოკუმენტური ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ (ააიპ „სპარკ“, რეჟისორი - ალექსანდრე ქორიძე);
- დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - ელენე მიქაბერიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი - შპს „ზანგო სტუდია“, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი - გიორგი ჩალაური);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე);

გადაღების პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, რეჟისორი - ნანა (ნინო) ჯორჯაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი - შპს „N&N“, რეჟისორი - ნანა ჯანელიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შუშის კუნთი“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“, რეჟისორი - ვაჟა ჩაჩხიანი).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმი“ – (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“, რეჟისორი - ირინე ჟორდანია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტოტოს უკანასკნელი დღეები“ – (პროდიუსერი - შპს „ბი აი თი სტუდო“, რეჟისორი - თორნიკე ტიკარაძე);



“აუზი”



“დიდი შესვენება”

- დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი - შპს „EcoFilms“, რეჟისორი - ნიკა წიკლაური).
- ანიმაციური ფილმი „განდეგილი“ (პროდიუსერი - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ღირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე);
- ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“ (პროდიუსერი - შპს „ვოქსელ“, რეჟისორი - თეიმურაზ სიხარულიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „მეზობელი“ (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი - შპს „ორნი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი - შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ლუკა ბერაძე);
- დოკუმენტური ფილმი „მულამათი“ (პროდიუსერი - ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა გაბრიჩიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი - შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - მერაბ კოკორიაშვილი);



“ფრენცის სასადილო“



“წვიმა ორ ნაპირზე“

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნათლობა იორდანეში“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“, რეჟისორი - მიხეილ კვირიკაძე);
- დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკა“ (პროდიუსერი - ააიპ „ოპიოდოკი“, რეჟისორი - ხვიჩა ემირიძე, თინათინ ემირიძე.);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი - დათა ფირცხალავა);
- დოკუმენტური ფილმი „მაღლა თაზოა“ (პროდიუსერი - შპს. ს.ს.ს., რეჟისორი - თორნიკე ბზიავა);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მცხუნვარე მზეზე“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი - ნუცა წიქარიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამშოლოსათვის და სტალინისათვის“ (პროდიუსერი - ი/მ მარიამ ჭინჭარაძე, რეჟისორი - ნიკა გაბუნია);
- მოკლე მხატვრული ფილმი „გუშაგები“ (პროდიუსერი – შპს „ორნი“, რეჟისორი – სანდრო სულაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი - შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „აღდგომა“ (პროდიუსერი - ააიპ „ნიკადოკ ფილმი“, რეჟისორი - ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ჩემი მეზობელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ რეჟისორი - მარადია ცაავა);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „შვიდკაცა“, რეჟისორი - გია ბარაბაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჭიბის კაცი“, რეჟისორ/ანიმატორი - ანა ჩუბინიძე);
- ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ქარმა დაუბერა, ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა“ (პროდიუსერი - ააიპ საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ალექსანდრე კობერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამურაი დასვენების უამს“ (პროდიუსერი - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი -ზაზა ხალვაში);



„სამურაი დასვენების უამს“



„გუშაგები“

- მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალარ შემოძლია“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - ეკატერინე ქელიძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - კონსტანტინე კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - ირაკლი მეთრეველი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი - გელა კანდელაკი);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე)



„ზამთრის დეპრესია“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ი/მ პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პაპანაქება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ თეკლა მაჭავარიანი, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი).

სცენარის შექმნის პროცესშია

- „რიკოშეტი ანუ ფრაგმენტები გამვლელთა ცხოვრებიდან“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „ტი-ეფ-ემ ფილმბრიტი“, სცენარის ავტორი – ბესო ოდიშარია);
- „მეზობლებს სძინავთ“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „პარაშუტი“, სცენარის ავტორი – კონსტანტინე კალანდაძე, კეკო ქელიძე.);
- „შემთხვევით ტყეში გამოვიარე“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „ტის სტრიტ ჰერტს მი“, სცენარის ავტორი – ანა ციმინტია.);
- „ძალდი უხმოდ ყეფს“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ნუში ფილმი“, სცენარის ავტორი – ვაჟიკო ჩახიანი.);
- „მეათე მოწმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „Its STUDIO“, სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე.);
- „ნახევრად მოგონილი ამბავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – „მილიმეტრ ფილმი“, სცენარის ავტორი – ირინე ჟორდანიას, ირინე ჯაფახიძე, დავით უჭმაჭურიძე.);
- „ოჯახი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „მალჰოლანდ ფილმსი“, სცენარის ავტორი – მარიამ ბექაური.);
- „თარჯიმანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ა.კ.ა ფილმსი“, სცენარის ავტორი – ანა ხაზარაძე.);

- „მეორეხარისხოვანი როლი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ზაზა ფილმს“, სცენარის ავტორი – ანა ურუშაძე.);
- „ხანძარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ფილმ Asylum“, სცენარის ავტორი – გიორგი ქობალია.);
- „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- „ნება“ – (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი ქობალია“, სცენარის ავტორი – გიორგი (ლაშა) ცქვიტინიძე.);
- „შაუმინი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ზანგო სტუდია“, სცენარის ავტორი – თორნიკე გოგრიჭიანი.);
- „ლალ – კოლხური მისია“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია“, სცენარის ავტორი – ზაზა ხალვაში, ამირან დოლიძე.);
- „მკვდრების ზღვა“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ბი-აი-თი სტუდია“, სცენარის ავტორი – ანი კვიჭიძე.);
- „მატახერია – ვარსკვლავის მსგავსი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ეითი დაბლიუდი“, სცენარის ავტორი – თამარ შავგულიძე.);

განვითარების პროცესშია შემდეგი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური

ფილმების პროექტები:

- „სოხუმი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – მამუკა ტყეშელაშვილი, სცენარის ავტორი – მამუკა ტყეშელაშვილი);
- „მგელი ტატე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ეი-ბი-ჯგუფი“, რეჟისორი – ლილი დადიანი, სცენარის ავტორი – ლილი დადიანი);
- „ერთი კაცის ნამღერი“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოძრაობა – კვალი XXI, რეჟისორი – პაატა შენგელია, სცენარის ავტორი – მარიამ კანდელაკი);
- „ქალაქის თვითმფრინავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ანიმატორი“, რეჟისორი – თამთა მანაგაძე, სცენარის ავტორი – მინდია არაბული);
- „რუ“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბასტი-ბუბუ“, რეჟისორი – ირინე გელაშვილი, სცენარის ავტორი – სალომე ბენიძე);



კანის საერთაშორისო კინოფესტივალის სპეციალური გამოშვება

27-29 ოქტომბერს კანის კინოფესტივალი 2020 წლის სპეციალური გამოშვებით დაბრუნდა.

ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი აფასებდა მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და Cinéfondation-ის კინოსკოლის საკონკურსო სექციის ნამუშევრებს. დეასთან ერთად ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: კლერ ბულგე, დამიენ ბონალი, რაშიდ ბუშარე, შარლ ჟილიბერი, სელინ სალეტი.

აღსანიშნავია, რომ კანის კინოფესტივალის 2020 წლის სპეციალური გამოშვების ნაწილი გახდა დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი “დასაწყისი”, რომელიც უკვე არაერთი საერთაშორისო ჟილდოს მფლობელია. ფილმი არჩენეს კინოფესტივალის მთავარ კონკურსში.

“დასაწყისი” რამდენიმე თვის წინ კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში შეირჩა. კორონავირუსის პანდემიის გამო, წელს კინოფესტივალი არ ჩატარდა ტრადიციული ფორმით, ოფიციალურ სელექციაში მოხვედრილი ფილმები კი მსოფლიოს წამყვან კინოფესტივალებზე გადანაწილდნენ.





დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა “დოკლისბოა” საქართველოს მასშტაბური რეტროსპექტივა მიუძღვნა

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი “დოკლისბოა” წელს მეთვრამეტედ გაიმართა. კორონავირუსის პანდემიის გამო იგი წელს განსხვავებული ფორმატით, ონლაინ ჩატარდა.

ფესტივალი 22 ოქტომბერს გაიხსნა და კინომოყვარულებს პროგრამის პირველი ნაწილს 1 ნოემბრის ჩათვლით შესთავაზა. სწორედ ამ პერიოდში ყურადღება საქართველოს მიმართ იყო მიპყრობილი.

უწყვეტი მოგზაურობა – ამაღელვებელი ქართული კინოს რეტროსპექტივა – ასე უწოდეს ორგანიზატორებმა იმ მასშტაბურ რეტროსპექტივას, რომელიც კინოფესტივალმა წელს საქართველოს მიუძღვნა. რეტროსპექტივამ დააკავშირა წარსული და აწმყო და ფესტივალის სტუმრებს შესთავაზა ქართული ფილმები დაწყებული უხმო კინოს პერიოდიდან, დასრულებული თანამედროვე ნამუშევრებით.

ქართული კინოს მრავალწლიანი ისტორია მრავალფეროვანი პროგრამით იყო წარმოდგენილი. იგი აერთიანებდა შემდეგ მხატვრულ, დოკუმენტურ და ანიმაციურ ფილმებს:

- “ლექსი ვეფხვისა და მოყმისა” (2014), რეჟისორი მარიამ კანდელაკი;
- „ელისო“ (1928), რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია;
- „ბუბა“ (1930), რეჟისორი ნუცა ლოღობერიძე;
- „ჭიმ შვანთე“ (მარილი სვანეთს) (1930), რეჟისორი მიხეილ კალატოზოვი;
- „გოგონა და შადრევანი“ (1967), რეჟისორი კარლო სულაკაური;
- „გრძელი ნათელი დღეები“ (2013), რეჟისორები: ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი;
- „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933), რეჟისორი სიკო დოლიძე;
- „კოლმეურნის ჰიგიენა“ (1934), რეჟისორი ვახტანგ შველიძე;
- „დილის რომანსი“ (1996), რეჟისორი ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი;
- „როცა დედამიწა მსუბუქია“ (2015) – რეჟისორები: სალომე მაჩაიძე, თამუნა ქარუმიძე, დავით მესხი;

- „კომუნარის ჩიბუხი“ (1929) – რეჟისორი კოტე მარტანიშვილი;
- „ჩემი ბები“ (1929) – კოტე მიქაბერიძე;
- „წუნა და წრუნა“ (1955) – რეჟისორი არკადი ხინთიბიძე;
- „კომბლე“ (1979) – რეჟისორი გივი კასრაძე;
- „ბებო“ (2013) – რეჟისორი სანდრო ქათამაშვილი;
- „ლი.ლე“ (2017) – რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი;
- „მეთევზე და გოგონა“ (2018) – რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი;
- „ქრისტიანე“ (1916) – რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა;
- „მზალო და გელა“ (1934) – რეჟისორები: ლევ პუში და შალვა ხუსკივაძე;
- „სიმინდის კუნძული“ (2014) – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი;
- „პონტო – შავი, შავი ზღვა“ (2001) – ნოდარ ბეგიაშვილი;
- „მოცურავე“ (1981) – რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე;
- „მოგზაურობა სოპოტში“ (1980) – რეჟისორი ნანა ჯორჯაძე;
- „უკანასკნელნი“ (2006) – რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი;
- „არაბესკები ფიროსმანის თემზე“ (1985) – რეჟისორი სერგო ფარატანოვი;
- „ფიროსმანი“ (1969) – რეჟისორი გიორგი შენგელაია;
- „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (1968) – რეჟისორი ელდარ შენგელაია;
- „რა-ნი-ნა“ (1974) – რეჟისორი მიხეილ ბახანოვი;
- „ძველი ქართული სიმღერა“ (1969) – რეჟისორი ოთარ იოსელიანი;
- „ნერგები“ (1972) – რეჟისორი რეზო ჩხეიძე;
- „ქოლგა“ (1966) – რეჟისორი მიხეილ კობახიძე;
- „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978) – რეჟისორი ლანა ლოლობერიძე;
- „ჭირი“ (1983) – რეჟისორი დავით თაყაიშვილი;
- „ბო-ბო“ (1985) – რეჟისორი ლევან ქყონია;
- „სხვისი სახლი“ (2016) – რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე;
- „მეკვლე“ (1981) – რეჟისორი გოდერძი ჩოხელი;
- „ჩასარბენი ციხე“ (2018) – რეჟისორი სალომე ჯაში;
- „მე გადავცურე ენგური“ (2016) – რეჟისორი ანუნა ბუკია;
- „ერთი ნახვით შეყვარება“ (1975) – რეჟისორი რეზო ესაძე;
- „ომის იავნანა“ (2019) – რეჟისორი იანა უგრეხელიძე;
- „დედე“ (2017) – რეჟისორი მარიამ ხაჭვანი;
- „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ (1925) – რეჟისორი ივანე პერესტიანი;
- „გზაზე“ (2003) – რეჟისორი მიხეილ კობახიძე;
- „ოქროს ძაფი“ (2019) – რეჟისორი ლანა ლოლობერიძე;

აღსანიშნავია, რომ წელს ფესტივალის ინდუსტრიული სექცია Nebulae საქართველოს მოწვეული ქვეყნის სტატუსით მასპინძლობდა. ფოკუსის ფარგლებში მოეწყო ქართული ფილმების 8 პროექტის პრეზენტაცია უცხოელი კინემატოგრაფისტების წინაშე და არაერთი საინტერესო პანელ დისკუსია ქართველი კინემატოგრაფისტების მონაწილეობით. ინდუსტრიული პროგრამა Arché-ს ჟიურის წევრი იყო ქართველი რეჟისორი მარიამ ქაჭია. ასევე, 1 ნომბერს გაიმართა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში ქართული კინოს გარშემო.



ქართული კინო ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ტალინის ბნელი ღამეების 24-ე კინოფესტივალი 13 ნოემბერს გაიხსნა. ფესტივალის წლებანდელი გამოშვების პროგრამაში იყო 4 სრულმეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი.

ზაზა ურუშაძის პატივსაცემად, ტალინში აჩვენეს რეჟისორის 3 ფილმი: “მანდარინები”, “სამი სახლი” და “ანტონი”.

“ანტონი” ზაზა ურუშაძის ბოლო ნამუშევარია. იგი 2 ბიჭის მეგობრობის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც მათ გარშემო განვითარებულ დრამატულ მოვლენებზე ძლიერია. ფილმი უკრაინის, საქართველოს, ლიეტუვის, შვედეთისა და კანადის კოპროდუქციაა.

სექციაში CURRENT WAVES აჩვენეს დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი “დასაწყისი”. CURRENT WAVES აერთიანებს იმ ფილმებს, რომელთა მსოფლიო პრემიერაც უკვე წარმატებით გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კინოფესტივალზე და რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ჯილდოები.

ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალი 1997 წელს დაარსდა. დღეს იგი ფესტივალების ა-კლასის კატეგორიას მიეკუთვნება და ჩრდილოეთ ევროპაში უდიდეს კინომოვლენად მიიჩნევა. კინოფესტივალი ყოველწლიურად მასპინძლობს 1000 კინემატოგრაფისტს და 160 ჟურნალისტს, მისი აუდიტორია კი 80 000 სტუმრისგან შედგება. ფესტივალის ყოველი გამოშვება მაყურებელს სთავაზობს 250 სრულმეტრაჟიან და 300 მოკლემეტრაჟიან ფილმს (მათ შორის ანიმაციას).

საქართველო არაერთხელ ღირსეულად იყო წარმოდგენილი ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, მათ შორის 2015 წელს იგი ფესტივალის ფოკუს ქვეყანა გახლდათ.

“მიტოვებული სოფელი”

“მიტოვებული სოფელი” 14 წუთიანი ქართული ანიმაციური ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერა შედგა იაპონიაში, ჰოკაიდოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმის რეჟისორია მარიამ კაპანაძე, ხოლო პროდიუსერი - მარიამ კანდელაკი.

“მიტოვებული სოფელი” ფესტივალზე დაჯილდოვდა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრიზით.

ჰოკაიდოს საერთაშორისო კინოფესტივალი 20-23 ნოემბერს გაიმართა და მაყურებელს შესთავაზა ფილმები 90 ქვეყნიდან.

“მიტოვებული სოფელი” ასევე აჩვენეს კინოფესტივალ Animateka-ს საკონკურსო პროგრამაში, რომელიც სლოვენიაში 30 ნოემბერს გაიხსნა.

“გვირაბი”

ნინო ორტონიკიძისა და ვანო არსენიშვილის ფილმი “გვირაბი” გახდა საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი საერთაშორისო კინოფესტივალებზე DokuBaku. დაჯილდოვების ცერემონიალი ონლაინ გაიმართა 6 დეკემბერს.

ფილმში მოქმედება ვითარდება ხარაგაულის რაიონში, „მოლითის“ სარკინიგზო სადგურის გარშემო. საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ჩქაროსნულმა მატარებელმა ჩინეთი საქართველოს გავლით ევროპასთან უნდა დააკავშიროს, რაც პატარა სოფლების ცხოვრებას თავდაყირა აყენებს.

“გვირაბის” მსოფლიო პრემიერა 2019 წელს შედგა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალებზე (IDFA).



“მკვდარი სულების არდადეგები”

26 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით კოლუმბიაში გაიმართა საერთაშორისო კინოფესტივალი Al Este - Colombia. ფესტივალის პროგრამაში იყო კეკო ქელიძის ფილმი “მკვდარი სულების არდადეგები”, რომელმაც უიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა.

ფილმი მოგვითხრობს 90-იანი წლების ქართული ალტერნატიული სცენის გამორჩეული მუსიკოსის – ლევან სვანიძის შესახებ, რომელიც გარეუბანში ხანდაზმულ დედასთან ერთად ცხოვრობს. ლევანი ცდილობს გაუმკლავდეს ყოფით პრობლემებს და დაიბრუნოს წარსული წარმატება.

“დიდება დედოფალს”

სერბეთში, კინოფესტივალებზე Slobodna Zona დაჯილდოვდა ქართული დოკუმენტური ფილმი “დიდება დედოფალს” (რეჟისორები: თათია სხირტლაძე და ანა ხაზარაძე, პროდიუსერები: ნინო ჩიჩუა, ანა ხაზარაძე).

ფილმს გადაეცა მაყურებლის ჯილდო. დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა 11 ნოემბერს.

“დიდება დედოფალს” მოგვითხრობს ლეგენდარული ქართველი ქალი მოჭადრაკეების შესახებ.





“კახეთის მატარებელი”

1-5 დეკემბერს არგენტინაში გაიმართა საერთაშორისო კინოფესტივალი Festival Internacional de Cine Austral. ფესტივალის საშუალო და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში აჩვენეს ლალი კიკნაველიძის ფილმი “კახეთის მატარებელი”.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ია შულღიაშვილი და მიშა გომიაშვილი.

ბრაუნშვაიგის საერთაშორისო კინოფესტივალი

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი მარიამ ხაჭვანი ბრაუნშვაიგის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრი გახდა (Volkswagen Financial Services Jury). კინოფესტივალი 2-8 ნოემბერს გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციაში აჩვენეს გიორგი თავართქილაძის ფილმი “ცუდი ხალხი”.

“ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი”

12-21 ნოემბერს ბრიუსელმა უმასპინძლა “დაბრუნებული დამოუკიდებლობის საერთაშორისო ფესტივალი” (Regained Freedom International Film Festival). ფესტივალი ეძღვნებოდა აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთისა და ბალკანეთის 30 წლიან დამოუკიდებლობას. ღონისძიების ფარგლებში აჩვენეს ელდარ შენგელაიას გამორჩეული ფილმი “ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი”. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელსაც გაუძღვა კინომცდონე ირინა დემეტრაძე.

საქართველოს გარდა, ფესტივალის მონაწილეები იყვნენ უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი.



თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

30 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ციფრულ პლატფორმაზე გაიმართა. ამ ფაქტმა ხელი ვერ შეუშალა ორგანიზატორებსა და კინომოყვარულებს, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მონაწილენი გამხდარიყვნენ და საინტერესო ფილმები ენახათ.

ფესტივალი წელს 3 ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა - ინდუსტრიული დღეები, მასტერკლასები და ფილმების ჩვენება.

ინდუსტრიული დღეები

ინდუსტრიული დღეების მრავალფეროვანი პროგრამის ფარგლებში, აღიარებული კინოპროფესიონალები თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ დამწყებ კინემატოგრაფისტებსა და ფესტივალის სხვა ვირტუალურ სტუმრებს.

დისკუსიები

დისკუსიები “ზუმის” ფორმატში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. პანელ დისკუსიის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესტონელ, ლიეტუველ და ქართველ კოპროდიუსერებთან ერთად განეხილათ კოპროდუქციის მნიშვნელობა ისეთი წარმატებული ფილმების მაგალითებზე, როგორებიც არის “ნამე” და “მანდარინები”. საერთაშორისო კინოფესტივალების პროგრამებზე ისაუბრეს ფილმების სელექციის პროცესზე, ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად კი მოხდა ქართულ პროექტებზე ერთობლივად მუშაობის შესაძლებლობების განხილვა.

მასტერკლასები

წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ვირტუალურ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ისეთი რეჟისორების მასტერკლასებს, როგორებიც არიან: აგნიეშკა ჰოლანდი, პიტერ ვებერი, ჟაკო ვან დორმაელი, იშტვან საბო, რატი ონელი, იოანა ბერნჰარდსონი და ნინო კირთაძე.



ვორქშოპები

ინდუსტრიული დღეების ფარგლებში წარმოდგენილი ვორქშოპების მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების კარიერული განვითარების ხელშეწყობა. ვორქშოპის მონაწილეებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ფიჩინგ ფორუმში, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებზე იყო კონცენტრირებული.



თბილისის საერთაშორისო
კინოფესტივალი
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

PITCHING FORUM
GEORGIAN-BALTIC BRIDGE

INTERNATIONAL JURY



Hugo Rosak



Nana Ekvimishvili



Ivo Felt



Marija Razgute



Guntis Trekteris

Georgian-Baltic Bridge

ფიჩინგ ფორუმის ფარგლებში გამოვლინდა სამი საუკეთესო პროექტი:

1. პირველი ადგილი და ფულადი პრიზი 1500 ევრო: “ია / Ia” - რეჟისორი ქეთი მაჭავარიანი, პროდიუსერი ნატო სიხარულიძე.
2. მეორე ადგილი, 1000 ევრო: “მაქცია / Werewolf” - რეჟისორი იევა მაგი, პროდიუსერი კრისტოფერ პირი.
3. მესამე ადგილი, 700 ევრო: “როცა 17 წლის ხარ / When you're 17” - რეჟისორი გიორგი მუხაძე, პროდიუსერი ნატო სიხარულიძე.

ჟიურის წევრები იყვნენ : ნანა ექთვიმიშვილი (რეჟისორი და პროდიუსერი), გუნტის ტრეკტერისი (ლატვიელი პროდიუსერი), ჰუგო როსაკი,(კარლოვი ვარის კინოფესტივალის ინდუსტრიული სექციის ხელმძღვანელი), მარია რაზგუტე (ლიეტუველი კინოპროდიუსერი) და ივო ფელტი (ესტონელი პროდიუსერი და ხმის დიზაინერი).

კინორევენუები

კორონავირუსის პანდემიის გამო წელს კინოფესტივალის კინორევენუებმაც ონლაინ პლატფორმაზე გადაინაცვლა. წინა წლებთან შედარებით, წელს ფესტივალმა მაყურებელს შედარებით ნაკლები ფილმი წარუდგინა. 20 სრულმეტრაჟიანი ფილმი 2 სექციაში გადანაწილდა - “მსოფლიო კინო” და “დამზადებულია გერმანიაში”. (სექცია “დამზადებულია გერმანიაში” შედგა გოეთეს ინსტიტუტთან თანამშროლობით).

ფილმების სიმცირის მიუხედავად, ფესტივალმა მაყურებელს შესთავაზა მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც განსხვავებული ჟანრის, სტილისა და სპეციფიკის ნამუშევრებით იყო დაკომპლექტებული. ფილმების ნახვა შესაძლებელი იყო ონლაინ პლატფორმაზე FESTIVAL SCOPE.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის პარტნიორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი, შვედეთის, საფრანგეთის და იტალიის საელჩოები. ასევე, ესტონეთის, ლიეტუვის და ლატვიის კინოინსტიტუტები.

სპონსორები: TBC კონცეპტი





ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი

25 ნოემბერს, საქართველოს კინოაკადემიის დრებაზში, ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის დახურვის ცერემონია გაიმართა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ღონისძიებას ესწრებოდა სტუმართა შეზღუდული რაოდენობა (ჟიურის წევრები, გამარჯვებული ფილმების წარმომადგენლები). დახურვის ცერემონიის ონლაინ ტრანსლიაცია მიმდინარეობდა ფესტივალის ფეისბუქ გვერდზე.

საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები ოთხ საკონკურსო სექციაში გასცა:

- გრანპრი – „ბოროტება არ არსებობს“, მუჰამედ რასულოფი, გერმანია/ირანი/ჩეხეთი, 2020.
- საუკეთესო რეჟისურა – „ყვითელი კატა“, ადილხან ერზანოვი, ყაზახეთი/საფრანგეთი, 2020.
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – ალბერტ სჩუნი და უელკეტ ბუნგიუ ფილმში – „ბერლინი, ალექსანდერპლაცი“, ბურჰან ქურბანი, გერმანია/პოლანდია, 2020.
- საუკეთესო მსახიობი ქალი – მარიუა სკარიჩიჩი ფილმში – „მარე“, ანდრეა სტაკა, შვეიცარია/ხორვატია, 2020.
- ჟიურის სპეციალური პრიზი – „პერსონა N2“, ნინო ბასილია, საქართველო/გერმანია, 2020.
- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – „ვეშაპი ლორინოდან“, მასიეუ ჩუსკე, პოლონეთი, 2019.
- ჟიურის სპეციალური პრიზი – „დისკვალიფიცირებული“, ჰამზა ოუნი, ტუნისი/საფრანგეთი/ყატარი, 2020.

- ქართველ კინოკრიტიკოსთა ჯილდო საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის – „სიკვდილის პირას“, ჰილალ ბაიდაროვი, აზერბაიჯანი/აშშ/მექსიკა, 2020.
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – „ლოლო“, მიხალ პიოტროვსკი, პოლონეთ, 2020. ჟიურის დიპლომი (სპეციალური აღნიშვნა) გადაეცა ორ ფილმს:
- „მარადიული ღამე“, პედრო პერალტა, პორტუგალია, 2020.
- „ფრანგები“, სეიედ ჰოსეინი, ირანი, 2020.

COVIDO – პანდემიის დროს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექცია

- საუკეთესო ფილმი – „1412“, ანა ჯაფარიძე, საქართველო, 2020.
- ჟიურის დიპლომი (სპეციალური აღნიშვნა) გადაეცა ორ ფილმს:
- „მოსაწვევი“, მელთემ ქემილოღლუ, თურქეთი, 2020.
- „ღვინო დედასთვის - კარანტინი 2020“, ვალერის ოლეჰნო, ლატვია, 2020.
- აუდიტორიის პრიზი – „მოჩვენება“, ნაგარატუ, ინდოეთი, 2020.
- აუდიტორიის პრიზი ქართული ფილმისთვის – „20XX“, გიორგი ქასრაშვილი, საქართველო, 2020.

BIAFF-ის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- ნანა ჯორჯაძე (საქართველო)
- მერაბ კოკონაშვილი (საქართველო)
- დათო ევგენიძე (საქართველო)



ინდუსტრიული პლატფორმა „ალტერნატიული ტალღა“

„ალტერნატიული ტალღა“ 2020 წლის გამოშვებისათვის შერჩეული იყო შემდეგი პროექტები:

1. „ბეჟა“- სცენარის ავტორი და რეჟისორი ვანო ბურდული.
2. „ჰამაკი“ - რეჟისორი ლევან თუთბერიძე, სცენარის ავტორი ირაკლი სოლომონაშვილი.
3. „მეათე მოწმე“ სცენარის ავტორი და რეჟისორი გიგა ლიკლიკაძე.
4. „გამოღვიძება“ სცენარის ავტორი და რეჟისორი თენგიზ ასიტაშვილი.
5. „ცივი ღრუბლები“ სცენარის ავტორი და რეჟისორი კახა კიკაბიძე.
6. „კარგი ბიჭები“ სცენარის ავტორი და რეჟისორი გიორგი თავართქილაძე.
7. „უწყვეტი გზა“ სცენარის ავტორი და რეჟისორი გიორგი მეგრელიშვილი.
8. „სიჩუმის ქაოსი“ სცენარის ავტორი და რეჟისორი ნინა შაბურიშვილი.
9. „BRULE LE SANG“ სცენარის ავტორები აკაკი ფოფხაძე და ფლორენ ჰილი, რეჟისორი აკაკი ფოფხაძე.

მოწვეული ექსპერტები:

- ნიკოს პანაიოტოპოლოსი (საბერძნეთი)
- ლორან დანილო (საფრანგეთი)
- თამარ ტატიშვილი (საქართველო)
- გულინ უსტუნი (თურქეთი)
- გელა ბაბლუანი (საქართველო)

მიუხედავად არსებული ეპიდ სირთულეებისა, „ალტერნატიული ტალღა“ წარმატებით ჩატარდა და მონაწილეებმა საინტერესო კონსულტაციები მიიღეს რამდენიმე მიმართულებით - სცენარის განვითარება, დაფინანსების სტრატეგია, საერთაშორისო ფონდები, კოპროდუქცია, პროექტის განვითარება, საერთაშორისო ფესტივალები / ინდუსტრიული პლატფორმები, დისტრიბუცია და ა.შ.

პროექტს კოორდინაციას უწევენ ქართველი პროდიუსერი ლაშა ხალვაში და რეჟისორი თინათინ ყაჭრიშვილი.

ერთ-ერთი ქართული პროექტი „სიჩუმის ქაოსი“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი ნინა შაბურიშვილი) შეირჩა სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული პლატფორმისთვის, რომელიც 2021 წელს აპრილში გაიმართება.

კინოფესტივალის მხარდამჭერები : ქ. ბათუმის მერია, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის კულტურის სამინისტრო, აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი, ბათუმის დრამატული თეატრი, ბათუმის თოჯინების თეატრი, გოეთეს ინსტიტუტი, იტალიის საელჩო, ფრანგული ინსტიტუტი.



თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

3-6 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი ონლაინ ფორმატში გაიმართა.

კინოფესტივალი წელს 5 ქვეყნის 5 საუკეთესო კინოსკოლას აერთიანებდა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, გერმანიის, პოლონეთის, ისრაელის, არგენტინისა და საქართველოს კინოსკოლების სპეციალური 120 წუთიანი კინოპროგრამების ნახვა ე.წ. Live Stream-ის მეშვეობით იყო შესაძლებელი.

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი 6 დეკემბერს დაიხურა. ჯიდლოები ასე გადანაწილდა:

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი
THE PACK OF THREE, რეჟისორი - კევინ ზაიატი, არგენტინა.
- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი
SHENDY WU A DIARY, რეჟისორი - ინგრიდ პროკოპერი, არგენტინა.
- საუკეთესო ანიმაციური ფილმი
GUILT, რეჟისორი - მარჩანა ურბანსკა, პოლონეთი.
- სპეციალური აღნიშვნა რეჟისურისთვის
 - როი ალონი / Late Kaddish (ისრაელი)
 - ხუანა ვარელა / Ruido - Noise (არგენტინა)
 - ლასე ჰოლდჰუსი / Moonjump (გერმანია)
 - ზვიად ციკოლია / Worth (საქართველო)

ჟიურის წევრები: თამარ შავგულიძე, ნენო ქავთარაძე, გიორგი რაზმაძე.

კინოფესტივალზე ასევე გამოვლინდნენ ფიჩინგ ფორუმის გამარჯვებულები:

1. I ადგილი - "ჩატვირთვა" - რეჟისორი: გიორგი წილოსანი, პროდიუსერი: გიორგი წილოსანი, გიორგი კვინტრაძე.
2. II ადგილი - „დიდი და პატარა ხელები“ - რეჟისორი ვაჟიკო ჩახიხიანი, პროდიუსერი თეკლა მაჭავარიანი
3. III ადგილი - „დაბრუნება“ - რეჟისორი: გურამ ბაქრაძე , პროდიუსერი: ანი კაშია

ფიჩინგ ფორუმის ჟიური: დავით ჯანელიძე, ნესტან კვინიკაძე, გიორგი შველიძე.

ტურორი: ქეთი მაჭავარიანი

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის მხარდამჭერები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი. პროექტი ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ფესტივალის მეგობრები: გოეთეს ინსტიტუტი საქართველო, ტელეკომპანია „არტარეა“ და სტუდენტური ტელევიზია TAFU TV.



“დასაწყისი” – საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე

8 ოქტომბერს გამოვლინდა საქართველოს კანდიდატი ფილმი ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის. კანდიდატი ფილმის სტატუსი მოიპოვა დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო ნამუშევარმა “დასაწყისი”. გადაწყვეტილება მიიღო სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრის საფუძველზე, კვალიფიციური ფილმების ნახვის შემდეგ.

კომისიის შემადგენლობაში იყვნენ:

1. ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი
2. ოთარ ბუბაშვილი
3. გოგი გვახარია
4. ლაშა ბაქრაძე
5. ალექო ცაბაძე
6. გიორგი შველიძე
7. სალომე დემურია
8. ია შულღიაშვილი
9. მაკო ქილაშვილი
10. ანა ქყონია
11. მარიამ ხაჭვანი
12. ვაკო კირკიტაძე
13. ლაშა ცქვიტინიძე

ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს 3 ქართული ფილმი იბრძოლებდა:

1. “დასაწყისი” – რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი
2. “უარყოფითი რიცხვები” – რეჟისორი უტა ბერია
3. “ურსუსი” – რეჟისორი ოთარ შამათავა

სპეციალურმა კომისიამ არჩევანი სწორედ ამ 3 ფილმს შორის გააკეთა.

კინომემკვიდრეობა

2020 წელი ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა 1920-იანი წლების კინოს წლად. ამ მნიშვნელოვან ინიციატივასთან დაკავშირებით, დაგეგმილი იყო არაერთი ღონისძიება, რომელთა ჩატარებასაც კორონავირუსის პანდემიამ შეუშალა ხელი.

ეპიდ სიტუაციის მიუხედავად, ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით განხორციელდა რუსეთის ფილმსაცავ “გოსფილმოფონდი“-დან ჩამოტანილი 1920-იანი წლების შემდეგი 8 ფილმის რესტავრაცია:

1. “არსენა ყაჩაღი“ (ვ.ბარსკი)
2. „გოგი რატიანი,“ (კ.მარტანიშვილი)
3. „ვინ არის დამნაშავე“ (ა.წუნუნავა)
4. „საბა“ (მ.ჭიაურელი)
5. „ელისო“ (ნ.შენგელაია)
6. „ნორჩი მფრინავი“ (ნ.კახიძე)
7. „კრახანა“ (კ.მარტანიშვილი)
8. „ჭანყი გურიაში“ (ა.წუნუნავა)

პარალელურად, დასრულდა მუშაობა წიგნზე „1920-იანი წლების ქართული კინო“, რომელიც ასახავს ქართული კინოს განვითარების ამ მნიშვნელოვან ათწლეულში მოღვაწე რეჟისორთა შემოქმედებას. წიგნის გამოცემა იგეგმება 2021 წელს. წიგნის რედაქტორები არიან ნინო მხეიძე და არჩილ შუბაშვილი.

წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება ინტერესი საერთაშორისო კინოფესტივალების მხრიდან ქართული კინომემკვიდრეობის მიმართ, ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით მაღალპროფესიონალურ დონეზე რესტავრირებული ფილმები კი საფესტივალო სტანდარტების შესაბამისია.



ონლაინ კინოჩვენებები

ეროვნული კინოცენტრის კინოკლუბი

პანდემიის დროს, 26 ნოემბერს ეროვნულმა კინოცენტრმა შექმნა ონლაინ კინოკლუბი.

კინოკლუბის წევრებს აქვთ შესაძლებლობა ონლაინ დაესწრონ ქართული ფილმების ჩვენებებს. კინოჩვენებები იმართება ყოველ შაბათს, 22:00 საათზე ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ფეისბუქ ლაივის ფორმატში.

კინოკლუბის წესების გაცნობის შემდეგ, მასში გაწევრიანება შეუძლია ქართული კინოს ყველა გულშემატკივარს.

დეკემბრის თვეში უკვე შედგა შემდეგი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენებები:

- “ნამე” - რეჟისორი ზაზა ხალვაში;
- “გამჭვირვალე სამყარო” - რეჟისორი ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი;
- “უკანასკნელნი” - რეჟისორი ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილი;
- “აღლუმი” - რეჟისორი ნინო ჟვანია;

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქართველ პროდიუსერებთან და რეჟისორებთან მომდევნო კინოჩვენებების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

ეროვნული კინოცენტრი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

ეროვნული კინოცენტრი ჩაერთო 16 დღიან გლობალურ კამპანიაში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. კამპანიის წლებანდელი თემაა „საზოგადოების როლი და ჩართულობა ძალადობის აღმოფხვრაში“. კინოცენტრმა მაყურებელს თემატური ქართული ფილმების ონლაინ ჩვენებები შესთავაზა 27, 28 და 29 ნოემბერს.

ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერებისა ამაღლებისა და მგრძნობელობის გაზრდის მიზნით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი მსოფლიო მასშტაბის კამპანია 1991 წლიდან ყოველწლიურად იმართება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. კამპანია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე



29.11



27.11



28.11

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას.

27 ნოემბერს კინოჩვენებების პროგრამა გახსნა მარი გულბიანის დოკუმენტურმა ფილმმა „სანამ მამა დაბრუნდება“ (2018). 28 ნოემბერს მაყურებელმა იხილა რუსუდან ჭყონიას მხატვრულ ფილმი „გაილიმეთ“ (2012). 29 ნოემბერს კი ონლაინ კინოჩვენებების პროგრამა დახურა მარიამ ხაჭვანის ფილმმა „დედე“ (2017).

“მაია წყნეთელი” - აღდგენილი ვერსიის ჩვენება

მეფე ერეკლე II დაბადებიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით, 13, 14 და 15 ნოემბერს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით გაიმართა „მაია წყნეთელის“ აღდგენილი ვერსიის ონლაინ ჩვენება.

“მაია წყნეთელი” რეზო ჩხეიძის ერთ-ერთი გამორჩეული ფილმია ქართველი კინოვარსკვლავების მონაწილეობით.



ფილმმა ახალი სიცოცხლე 2020 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა დასრულდა მისი რესტავრაცია ციფრულ 2K ფორმატში. ხმის გაწმენდა-დამუშავება, გამოსახულების დამუშავება და ფერის კორექცია განხორციელდა “ქართული ფილმი“-ს ბაზაზე.

ქართული ფილმების ჩვენება ხორვატიაში

ხორვატიაში, „კინოკლუბ სპლიტში“ ორი კვირის მანძილზე იმართებოდა ქართული ფილმების ჩვენებები. პროგრამაში იყო, როგორც კინოკლასიკა, ასევე თანამედროვე ქართული ფილმები:

- „ქორწილი“ - რეჟისორი მიხეილ კობახიძე
- „ალავერდობა“ - რეჟისორი გიორგი შენგელაია
- „ქოლგა“ - რეჟისორი მიხეილ კობახიძე
- „ნამე“ - რეჟისორი ზაზა ხალვაში
- „მუსიკოსები“ - რეჟისორი მიხეილ კობახიძე
- „სამი სახლი“ - რეჟისორი ზაზა ურუშაძე





კინო სკოლაში

პანდემიის გამო არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, პროექტის “კინო სკოლაში” შემოდგომის სეზონი ონლაინ გაიმართა საქართველოს 50 სკოლაში. სულ ჩატარდა 750 ონლაინ გაკვეთილი, მოზარდებმა კი მოამზადეს 40-მდე ინტერვიუ და მოკლე ფილმი.

პროექტის შემოდგომის სეზონის ფარგლებში მოზარდებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ აპლიკაცია “პროპაგანდა კინოში”. აპლიკაცია შექმნილია პროექტ “კინოს კუთხის” ფარგლებში, “შემოქმედებითი ევროპის” მხარდაჭერით.

“ისტორია-კინო-ისტორია”

„შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით ეროვნული კინოცენტრი ახალ კინოსაგანმანათლებლო პლატფორმას ქმნის

„ისტორია-კინო-ისტორია“ (History-Film-History) – ასე ჰქვია ახალ კინოსაგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით იქმნება.

წელს ეროვნული კინოცენტრის პროექტმა „შემოქმედებითი ევროპის“ მედია ქვეპროგრამის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (EACEA-25-2019 FILMEDU) მოიპოვა გამარჯვება და გრანტი 205 295 ევროს ოდენობით. „შემოქმედებით ევროპასთან“ თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი ისტორიის მანძილზე, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველომ, როგორც ლიდერმა ქვეყანამ ისე გაიმარჯვა. კონკურსში სულ 23 პროექტი მონაწილეობდა, უმაღლესი შეფასება და გამარჯვებულის სტატუსი კი მხოლოდ ხუთ მათგანს ერგო. პროექტის პარტნიორები არიან: იტალიის კინოარქივის ფონდი (Fondazione Cineteca Italiana), ჩრდილოეთ ირლანდიის შემოქმედებითი სწავლების ცენტრი (The Film Space) და სერბეთის ეროვნული კინოარქივი (the National Cinematheque of Serbia). ოთხივე პარტნიორი 2 წლის მანძილზე ერთობლივად იმუშავებს პლატფორმის შექმნაზე, რომელიც საბოლოოდ ხელმისაწვდომი იქნება პროექტში ჩართული ყველა ქვეყნის ენაზე.

„ისტორია-კინო-ისტორია“ კინოხელოვნების საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენების ახალ შესაძლებლობას იძლევა. პროექტის ფარგლებში მასალები შეიქმნება ორი მიმართულებით: მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიის სწავლება ფილმების გამოყენებით და კინოს, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულების, ისტორიის სწავლება.

პროექტის მონაწილე ქვეყნების მბაგალითებზე, მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ევროპის ისტორიისა და ევროპული კინოს განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. სწავლის პროცესში გამოყენებული ფილმები თუ სხვა ვიზუალური მასალა გაუადვილებს მათ ევროპის აღქმას, ასევე, შეიქმნება იმ ფილმების კატალოგი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მე-20 საუკუნის ისტორიის შესასწავლად.

პლატფორმის პრაქტიკაში გამოყენება მოხდება პროექტის პარტნიორ ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, პროექტის „კინო სკოლაში“ ფარგლებში.

ახალ კინოსაგანმანათლებლო პლატფორმაზე მუშაობა ნოემბერში დაიწყო. იგი სამომავლოდ ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მსურველისთვის.

ვორქშოპები, ონლაინ კონფერენციები და სალექციო კურსები

ESoDoc - ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით კინოდოკუმენტალისტებისთვის ვორქშოპი ჩატარდა

ESoDoc არის სასწავლო ინიციატივა მედია და კინო პროფესიონალებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი დოკუმენტური და ახალი მედია პროექტების განვითარება. ინიციატივა ეკუთვნის ZeLIG-ს – დოკუმენტური, სატელევიზიო და თანამედროვე მედიის სკოლას ბოლცანოში, იტალიაში.

ESoDoc ყოველწლიურად 3 ეტაპად, 3 სხვადასხვა მასპინძელ ქვეყანაში იმართება. პირველად ისტორიაში, ვორქშოპის მესამე ეტაპი საქართველოს თანაორგანიზებით ჩატარდა, კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე – ონლაინ ფორმატში.

ESoDoc საქართველოში 26 ნოემბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა. იგი მოიცავდა სხვადასხვა ტიპის სესიებს დოკუმენტალისტებისთვის: ლექციებს, მასტერკლასებს, ფილმის ჩვენებას და იდეების განხილვას.

ღია პროგრამის პარალელურად, მიმდინარეობდა ორი პარალელური სამუშაო პროგრამა. ასევე, სპეციალურად ქართველი რეჟისორებისთვის იმართებოდა “იმფაქტ კამპანიის” ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ გიორგი პარკოსაძე, ქეთევან ყიფიანი, თეონა ჩაკვეტაძე, ნინიკო ლეკიშვილი, ნინო ხუნდაძე, ალექსანდრე ქვირია, ქეთი მაჭავარიანი და ანა ძიპაშვიძე.



ESoDoc Impact Strategy Workshop-ის საუკეთესო ქართული პროექტი 4 დეკემბერს გამოვლინდა. გამარჯვებულები გახდნენ ქეთი მაჭავარიანი და ალექსანდრე ქვირია პროექტით “მემკვიდრეობის მცველები”.

ESoDoc – European Social Documentary in Georgia სესიების ორგანიზატორები: Chai Khana, ეროვნული კინოცენტრი, „ფრიტ ორდის ფონდი“ და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.



ანიმაციური ფილმების პროექტების პრეზენტაციის ვორქშოფი

28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით მეექვსედ ჩატარდა ანიმაციური ფილმების პროექტების პრეზენტაციის ვორქშოფი.

ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პროექტმა:

1. მარიამ ჩაგელიშვილი - Fake News
2. მარიამ ერაძე და რუსუდან წიგნაძე - Where Do I Belong
3. მინდია არაბული - The Living Book
4. თამუნა კოჩალიძე - Friendship
5. სუსანა ხაჩატურიანი - Zako

ვორქშოპი გაიმართა ონლაინ ფორმატში ინგლისურ ენაზე. ანიმატორებთან მუშაობდნენ ფრანგი პროდიუსერი ოლივიე კატერინი და გერმანიაში მოღვაწე ქართველი რეჟისორი და პროდიუსერი მარიამ კანდელაკი.

ვორქშოპის ბოლო დღეს ანიმატორებმა წარადგინეს პროექტები, ანესის ფესტივალის საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით კი გამოვლინდა 2 გამარჯვებული პროექტი:

1. “ზაკო” - პროდიუსერი სუსანა ხაჩატურიანი. გამარჯვებული დაჯილდოვდა ანესის ფესტივალის აკრედიტაციით.
2. “წიგნიცხოველი” - ავტორი მინდია არაბული. გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს ანიმატორების ერთობიან რეზიდენციაში, რომელიც გაიმართება საფრანგეთში 2021 წელს.

ვორქშოპის ორგანიზატორები: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, საქართველოს ანიმატორთა ასოციაცია “საქანიმა”, კინოცენტრი “ქართული ფილმი-აფხაზეთი”, ანიმაციური ფილმების ფესტივლი ReAnimania სომხეთი, ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი MIFA და სტუდია “კვალი XXI”.

“კინოს კუთხე” - ონლაინ კონფერენცია

“შემოქმედებითი ევროპის” პროექტმა “კინოს კუთხე” საზოგადოებას შესთავაზა ონლაინ კონფერენცია კინოგანათლების თემაზე. პროექტის პარტნიორია ეროვნული კინოცენტრი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ოთხი სადისკუსიო პანელი და არაერთი საინტერესო გამომსვლელი. ღონისძიებაზე ონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ მსურველს.

ნიკოლოზ შენგელაიას ფილმი “ელისო” British Georgian Society-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ სალექციო კურსზე აჩვენეს

British Georgian Society-ის მიზანია ხელი შეუწყოს დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის კავშირების გამყარებას და შექმნას პლატფორმა, სადაც გაიმართება საინტერესო კულტურული ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში, 10 დეკემბერს სალომე ცოფურაშვილმა გამართა ონლაინ ლექცია თემაზე Deorientalizing the Caucasus: New Woman's Subjectivity in Nikoloz Shengelaia's Eliso (Caucasian Love)“. ონლაინ სალექციო კურსზე შედგა ფილმ “ელისოს” ჩვენებაც.

ქართული კინოპროექტები საზღვარგარეთის ინდუსტრიულ პლატფორმებსა და კინობაზრობებზე

Venatana Sur ანიმაციური ფილმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ლათინო-ამერიკული ბაზრობაა. ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, წელს კინობაზრობაზე მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ქართველმა პროდიუსერებმა:

- ვლადიმერ კაჭარავა
 - ელენე მარგველაშვილი
 - ციაკო აბესაძე
 - ანა ხაზარაძე
 - ნინო ჩიჩუა
- მაკა გოგალაძის პროექტი “რაც თავი მახსოვს” დაჯილდოვდა ტრენინგ პროგრამა CIRCLE Women Doc Accelerator-ის მიერ. მანამდე კი პროექტს გადაეცა EWA WOMEN'S TALENT AWARD ლაიფციგის ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე.

- ქართული ანიმაციური ფილმის პროექტი “იგი” ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ანიმაციის ფორუმის გამარჯვებული გახდა. ანიმაციური ფილმის რეჟისორია ნათია ნიკოლაშვილი, ხოლო პროდიუსერი - ვლადიმერ კაჭარავა.
- Holland Film Meeting-ის გამარჯვებულებს შორის დასახელდა ტატო კოტეტიშვილის სადებიუტო ფილმის პროექტი “წმინდა ელექტროენერგია”, რომელსაც სამი ჭილდო გადაეცა:
 - Ⓣ Camalot / Filmmore Emerging Cinema Award
 - Ⓣ ჟიურის სპეციალური აღნიშვნა (NFF Script Development Award)
 - Ⓣ ჟიურის სპეციალური აღნიშვნა (HFM Market Potential Award)
- European Work in Progress Cologne-ს 28 რჩეულ პროექტს შორის შეირჩა “ლიმილიანი საქართველო” (რეჟისორი: ლუკა ბერაძე, პროდიუსერები: ანა ხაზარაძე და ნინო ჩიჩუა). “ლიმილიან საქართველო”-ს უკვე აქვს მიღებული ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება. პროექტი კინოინდუსტრიის წარმომადგენლების წინაშე კიოლნში წარადგინა კოპროდიუსერმა ევა ბლონდიაუმ.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge